# ცნობის ფურცელი

№ 1881 ორშაბათი, 29 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1881

**ხელის მოწერის ფასი** (?): წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვაზის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

**დეპო**

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

**მაღაზია**

(სასახლის ქუჩიდან)

გადადის ერთ შესრიაში „სევერნი ნომრების" ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო), (0—2)

**საფაბრიკო საწყობი**

**ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა**

**გ. ი. პალლიზენ**

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

**ტფილისი**, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—45)

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჩიჩინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

**ქ. გ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

**ა. ვ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედ. თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ვ. ი. იანჩევსკი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**გ. მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები – მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაძისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ტელეფონი № 274.** (წლ.)

**ბორჯომში**

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე. საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

**კბილის ექიმი**

ივანე პავლეს ძე

**ახალშენიშვილი**

იღებს ყოველ-დღე კბილი სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

**ექიმი**

ალექსანდრე გიორგის ძე

**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმაიევის სახლი.

**ქ. გორში,**

**ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე**

**ცურიაშვილი,**

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

**ექიმი**

**ვ. ს. მუსხელაშვილი**

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

**ლექსები**

**განდეგილისა**

ავტორის სურათით,

**ფასი ათი შაური,**

იყიდება: ტფილისში წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—5)

**ახალი წიგნი**

**ფიზიოლოგია**

**დ-რი ფოსტერისა**

სურათებით

**ფასი 25 კ.**

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

**ახალი წიგნი**

**შ. არაგვისპირელი**

წიგნი მეორე

**ფასი 40 კაპ.**

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

**ბებია**

**ე. მ. ლიმონი**

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—26)

## ახალი ამბავი

◆ 31 ივლისს თავად-აზნაურთა თეატრში განზრახვა აქვთ გამართონ წარმოდგენა და კონცერტი **დ. ცხინვალის ცეცხლისაგან დაზარალებულთა** სასარგებლოდ.

◆ გაზ. **„ზაკინსკია იზვესტია"** დაიწყებს გამოსვლას 4 აგვისტოს.

◆ **ტფ. მე-2 ხავაჟო გიმნაზიაში** დამატებითი ეგზამენები დაიწყება 22 აგვისტოს, დასრულდება—27 აგვისტოს; მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში და 1-ლ კლასში დანიშნულია 20 და 21 აგვისტოს.

◆ **წმ. ნინოს ტფ. სასწავლებელში** მისაღები და განმეორებითი ეგზამენები მოხდება 26 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 1-ლ ენკენისთვეს.

◆ 30 ივლისიდამ ბაქოსა და ტფილისს შუა მეორე სწრაფი **მატარებელი** (სამშაბათობით) აღარ ივლის, რადგან მგზავრთა რიცხვი მეტად მცირე იყო; წინანდებურად ივლის მხოლოდ ერთი სწრაფი მატარებელი (პარასკეობით).

◆ წრევანდელი ზაფხული საზოგადოდ გრილი იყო ტფილისში; მაგრამ უკანასკნელ დღეებში დიდი სიცხე დაიჭირა.

### ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის უძრავ მამულების დამფასებელ კომისიაში მთავრობისაგან წარმომადგენლად დანიშნულმა ბ. ზუბოვმა განაცხადა: „ჩვენ გვეგონა მთელი დამფასებელი კომისია ერთად იმოქმედებდა, თორემ სამს ჯგუფად და ყოფილს კომისიაში ერთსა და იმავე დროს მე არ შემიძლიან მონაწილეობის მიღებაო." სამს ჯგუფად კომისიის გაყოფა კი მიუცილებელი საჭიროა, რომ მამულების დაფასებას ამ წელსვე მორჩეს ქალაქი და მომავალ წელს მამულებზე გადასახადის გაწერის დროს ახალის დაფასებით იხელმძღვანელოს. ამიტომ ქალაქის თავმა განკარგულება მოახდინა, რომ ორშაბათს, 29 ივლისს, მოწვეულ იქმნას საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება, რომ შეეკითხოს მას, როგორ მოიქცნენ ამ შემთხვევაში, ერთად იმოქმედოს მთელმა კომისიამ, თუ ეთხოვოს ბ. გუბერნატორს, სამი კაცი დანიშნოს თავის მხრივ ამ სამს ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად.

◆ 26 ივლისს, სამრევლო საეკკლესიო სკოლების მასწავლებელნი, რიცხვით 90-მდე, რომელნიც საპედაგოგიო კურსებს ისმენდნენ ქუთაისში, ღამის მატარებლით „გაემგზავრნენ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ადგილების დასათვალიერებლად. ინახულებენ: ბათუმს, ქობულეთს, ჩაქვს, მცხეთას, ტფილისს და სხვ.

◆ ქუთაისის საპაზრო მმართველობა ამჟამად ურიგებს პატრონთ იმ ნივთებს, რომელნიც უკვე დასჯილ ალ. ლორთქიფანიძის ბრბოს მოუტაცნია და სასამართლოში იყო დამნაშავეთა გასამტყუნებლად.

◆ გაჭირვებული ქუთაისი ყველაფერს გადასახადს ადებს: ერთ გოჭს ვერ გაჰყიდის საწყალი სოფლელი გლეხი, რომ ცოტა რამ არ შეაგლიჯონ. მხოლოდ სრულიად გადაავიწყდა ველოსიპედზე გადასახადის დადება. უნდა წარმოიდგინოთ, რა რიგად შეწუხებულია ქალაქი ველოსიპედით სეირნობის მოტრფიალეთაგან. დღისით სეირნობა აეკრძალათ (?), რომ ოღრო-ჩოღრო ქუჩებზე არ გაიშხლართონ და არ ამოიქცარქნონ მტვერში ან ტალახში; მაგრამ როგორც კი შეღამდება, ყველანი ღამურასავით გამოვლენ სასეირნოდ. ნამეტურ ეტანებიან თეთრ ხიდსა და ბულვარს, სადაც დამდამობით აუარებელი საზოგადოება იყრის თავს. ველოსიპედებს არ აქვს არც ფარანი, არც ზარი, რომ მოსეირნენი თავის დროზე გაათვრთხილონ და გზა დააცლევინონ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი მოხუცი ყირამალა გადაუტრიალებია ამ ველოსიპედებს, რამდენ წყვილ-წყვილად მოსეირნე შეყვარებულისთვის გადაუტრიალებია გული და შეუწყვეტინებია ტკბილი ჩურჩული. ჩვენს, „ფეხოსნების" პოლიციას კი არც მოხუცის დარდი აწუხებს და არც უმაწვილის; მას არხეინად სძინავს ბულვარის კარებთან, ან იქვე მდგომ მეეტლეებს ელაპარაკება. თუ სხვა საშველი არაა, გადასახადი მაინც დაადვას ქალაქმა ამ ველოსიპედებს, როგორც სხვა ქალაქებშია.

◆

## დაბა-სოფლები

**ს. ზემო-ავჭალა** (ტფილისის მაზრა). ზემო-ავჭალაში 80 კომლი მცხოვრებია, რომელთაგან 3 კომლი მემამულე სომეხია, ერთი აზნაური და ერთიც თავადი, დანარჩენი ქართველი გლეხ-კაცობაა. მცხოვრებნი მისდევენ მევენახეობას, მებაღობას და მებოსტნობას. ღვინო საზოგადოდ მდარე ღირსებისა დგება, თუმცა სომეხ მემამულეთა ღვინო კი არ ჩამოუვარდება კახურსაც. მიწა ადგილი სულ სომეხსა და თავად-აზნაურობას ეკუთვნის; გლეხკაცობა იმათ მიწა-მამულზე მუშაობს.

სკოლა ავჭალაში ერთია, რომელსაც ეპარქია თავისი ხარჯით ინახავს. მოსწავლეთა რიცხვი ამ ერთკლასიან სამრევლო სკოლაში მეტად მცირეა (12—15-მდეა). გლეხები შვილებს არა ჰგზავნიან სკოლაში; სკოლის ნაცვლად საქონელს აძოვებინებენ და ყანაში ამუშავებენ. წინად, როდესაც ამ სკოლაში ქ-ნი ბასტამოვისა და ორიც სხვა ქალი ხელ-საქმეს ასწავლიდნენ უსასყიდლოდ, მოსწავლე ქალების რიცხვი 35-მდე ადიოდა. როგორც გავიგეთ, ქ-ნი ბასტამოვისა ორი წელიწადი პეტერბურგში პროფესიონალურ სკოლაში სწავლობდა [და სპეციალურ ცოდნით აღჭურვილი, ეჭვი არ არის, სარგებლობას მოუტანს სოფლის პატარა ქალებს.

ამას გარდა, ორის წლის წინად, მცირე წლოვან დამნაშავეთა თავ-შესაფარის მასწავლებლების და დასახელებულ ქალების მეცადინეობით, სადამოობით ასწავლიდნენ წერა-კითხვას როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილებს. სასურველია, მასწავლებელმა ეხლაც მიჰმართოს ამ საშუალებას, რადგან გლეხები დილაობით არა ჰგზავნიან შვილებს სკოლაში.

რადგან თავშესაფარი ვახსენეთ, ორიოდე სიტყვას იმის შესახებაც ვიტყვით. ეს თავშესაფარი სწორედ უბედურ ვარსკვლავზედ არის დაარსებული. როგორც „საზოგადოება", ისე გამგეობა ამ საზოგადოებისა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ქონებრივად უზრუნველ ჰყოს თავშესაფარი; და მართლაც თავშესაფრის ადმინისტრაციას დღემდე არავითარი დაბრკოლება არ უნახავს. მაგრამ თავშესაფრის საქმეები მაინც ისე ვერ მოეწყო, როგორც სასურველია. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ გამგენი თავ-შესაფარისა მალ-მალე იცვლებიან. 5—6 წლის განმავლობაში თავშესაფარს 5—6 გამგე გამოუცვლია. ეხლანდელი გამგე თავშესაფარისა ბ-ნი მაღალაშვილი დიდის გულ-მოდგინებით მოეკიდა მცირე-წლოვან დამნაშავეთა აღზრდის მძიმე საქმეს და მოკლე დროში იმისმა შრომამ კიდეც ჯამოიღო ნაყოფი. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ავჭალას: რამდენიმე წელიწადია მკვიდრნი უეკკლესიოდ არიან. ძველად აგებული პატარა ეკკლესია, რომელშიაც თხუთმეტამდე კაცი ძლივს ეტეოდა, მტკვარში გადაშვებას აპირებს, რადგანაც საძირკველი მდინარემ გამოუთხარა. ასეთ ეკკლესიაში წირვა ლოცვა სასულიერო მთავრობამ აღკრძალა და მცხოვრებთ კვირა-უქმე დღეებში დუქნები გადაუქცევიათ სამლოცველოდ, სადაც ხატების ნაცვლად ღვინოს ეამბორებიან და სადაც უკანასკნელ გროშს სტოვებენ. რამდენიმე წელიწადია შეწირულებას აგროვებენ ეკკლესიის ასაგებად. აქვე უნდა აღვნიშნო, აქაურმა მემამულე სომეხმა გ. ი. მირზოევისამ ქართულ ეკკლესიისა და სკოლისათვის 600 მანეთად ადგილი იყიდა შუაგულ სოფელში, რკინის გზის გვერდით.

**უტუ კრიმანჭული**

◆

## წერილი ზესტაფონიდან

### ახალი თეატრი

ამ ერთის წლის წინად, როდესაც ყვირილის თეატრი დაიწვა, იმისმა გულ-შემატკივრებმა მოინდომეს ახალის თეატრისთვის შენობის აგება. ამ ამბავმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ბოლოს იმ აზრს დაადგნენ, რომ საამხანაგოდ აეგოთ შენობა. ამ საქმის ინიციატივა ეკუთვნის ყვირილის ახალგაზდობას კნ. ბარბარე წერეთლის მეთაურობით.

საქმის გადაწყვეტა და დაწყება ერთი იყო. დააარსეს ამხანაგობა და გამოსცეს თითო თუმნიანი პაები, რომელიც მოულოდნელად იმდენი გაიყიდა, რამდენსაც არ ელოდნენ. ბევრი შეიძინეს ნამეტნავად აქაურმა ვაჭრებმა; ზოგს ათ-ათიც კი აქვს ნაყიდი. საქმე გაიჩარხა და ამხანაგობის გამგენი კიდეც შეუდგნენ თეატრის შენობის აგებას; ერთი თვე მეტი იქნება, რაც მუშაობას დაადგნენ, თეატრის კედლები ნახევრამდის უკვე აშენებულია. სიდიდით ახალი თეატრი ქუთაისისას არაფრით ჩამოუვარდება: დაახლოვებით დაეტევა 500 კაცი.

თეატრი შენდება მეტად მოხდენილ და კოხტა ადგილზე. თეატრთან ერთად შენდება ორი ოთახი სამკითხველოსათვის, ორი ბანკისთვის და სამარხ კასისათვის და ორიც მომსვლელ არტისტებისათვის...

თეატრის გეგმის შედგენა უსასყიდლოდ იკისრა იტალიელმა ხუროთ-მოძღვარმა ბ-ნმა ფრანც გვადანინმა. ყვირილის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეკიდება ამ საქმეს.

**დურბინდი**

## უცხოეთის წვრილი ამბები

**ყველაზე სუფთა და ფაქიზი ხალხი დედამიწაზე.** გერმანული გაზეთები ამბობენ, რომ სისუფთავე და სიფაქიზე დაბადებიდან თან დაყოლილი თვისებაა იაპონელებისა. არა გაჭირვებას და უკიდურესს მდგომარეობას ცხოვრებაში არ შეუძლიან, იაპონელებს დაავიწყებინოს სისუფთავის მოთხოვნილებანი. მიუხედავად იმისა, რომ 1900 წელს ჩინეთთან ომის დროს იაპონიის მხედრობა ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო, მით უმეტეს იაპონიის ჯარის კაცები ყოველ საღამოს, როცა ვახშმად მიდიოდნენ ხოლმე, სუფთა, სპეტაკ ტანისამოს იცვამდნენ.

იაპონიის ქალაქებზე არას ვიტყვით, რადგანაც ისინი ეხლა ევროპის ქალაქებს არაფერში არ ჩამოუვარდებიან; საყურადღებო სანახავია სოფლები და დაბები, სადაც მცხოვრებთ ჯერ კიდევ შერჩენილი აქვთ წინაპართა ზნე-ჩვეულებანი. სასიამოვნო სანახავია ეს დაბა-სოფლები. პატარა ხის სახლები გააშტერებენ კაცს თავის სისუფთავით. ოთახებში იატაკზე დაფენილია თეთრი რბილი ჭილოფები და მცხოვრებნი თეთრი აბრეშუმის წინდებით დადიან ოთახებში, ხოლო თავის ხის ქოშებს კარების შემოსავალში სტოვებენ. თუ ევროპიელი მივიდა იმათთან სტუმრად, წაღები უნდა გაიხადოს და წინდებით შევიდეს სახლში ან არა და სახლის პატრონის ფეხსაცმელები უნდა ჩაიცვას. სისუფთავის მხრივ იაპონელის სახლი გაცილებით სჯობია სისუფთავით განთქმულს ჰოლანდიელს სახლს. ჰოლანდიელ ქალებზე არის ნათქვამი, რომ „სახლის კიბეებს ასუფთავებენ თავიანთ კბილის ჩოთქებით“, მიუხედავად ამისა, თითონ ბევრით უსუფთაონი არიან თავიანთ სახლებზე. იაპონელებზე ეს არ ითქმის, ისინი ისევე სუფთა და ფაქიზნი არიან, როგორათაც იმათი სახლები. ყოველი მათგანი ყოველ დღე იბანს ტანს; მხოლოდ ძალიან ღარიბებს არა აქვთ სახლში საკუთარი საბანებელი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 27 ივლისი

**ლიბავა.** კომერციული სასწავლებლის ახალი შენობის ასაგებად საბირჟო კომიტეტმა გადასდო 175,000 მან. პროექტი წარდგენილია ფინანსთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

**ლონდონი.** გათენებისას ზარბაზნების სროლამ აუწყა ყველას, რომ გვირგვინის კურთხევის დღე დაიწყო. ტოუერიდან ორმოცდა ერთჯერ დასცალეს ზარბაზანი, ჰაიდ პარკში—21. გუშინ საღამოს ვესტენდში გაჩირაღდნებული იყო შენობები; ქუჩებში აუარებელი ხალხი დადიოდა. ბუკინჭამის სასახლის წინ ხალხი საერო საგალობელს გალობდა. ბევრმა ქუჩაში გაათენა, სადაც პროცესია გაივლის. დილით ვესტენდში 6,000 ჯარის კაცი მოვიდა; სულ ყველა ჯარებიდან 27,000 კაცი შეიყარა.

**მოსკოვი.** ინგლისელების ეკკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს, რომელსაც კონსულები დაესწრნენ. ინგლისელების კოლონიამ მეფე ედუარდს დეპეშა გაუგზავნა. კოლონია საღამოთი დიდ დღესასწაულს იხდის.

**ლონდონი.** 11 საათზე მეფე-დედოფალი, რომელთაც ხალხი აღტაცებით ეგებებოდა, ბუკინჰემის სასახლიდან ვესტმინსტერის ეკკლესიაში გაემგზავრნენ გვირგვინის საკურთხად.

**ლონდონი** დილის მეთერთმეტე საათზე ინგლისის სამეფო სახლის წევრები და იმათი ნათესავი უცხოელი პრინცები და პრინცესები ბუკინჰემის სასახლიდან რვა ეტლით წავიდნენ გვირგვინის კურთხევაზე. უელსის პრინცს და პრინცესას ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

**ლონდონი.** გვირგვინის კურთხევა მოხდა 12 საათზე და 40 წუთზე. წესის შესრულების დროს კითხვებზე მეფე მაღალის ხმით უპასუხებდა, ასე რომ მთელს ტაძარში ისმოდა. როდესაც გვირგვინის კურთხევა გათავდა, ყველანი ფეხზე წამოდგნენ და შესძახეს „ღმერთი იფარვიდეს მეფესა და დედოფალს“. საეკკლესიო ღვთის მსახურება პირველ საათზე დასრულდა.

**ლონდონი.** კენტერბერიის არქიეპისკოპოსს, რომელსაც მეტის აღელვებისაგან ხმა უკანკალებდა, ეტყობოდა გული მისდიოდა. როდესაც მეფეს გვირგვინი დაადგა თავზე, ის იძულებული შეიქმნა იორკის არქიეპისკოპოსის და ორი სხვა ეპისკოპოსის შემწეობით გასულიყო გულის მოსაბრუნებლად. როდესაც გული დაიმშვიდა, ცერემონიის გათავებაც შესძლო.

**პეტერბურგი.** 27 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი პეტერგოფში დაბრუნდა.

დღეს, მეფე ედუარდის გვირგვინის კურთხევის გამო, ინგლისელების ეკკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს.

### 28 ივლისი

**პეტერბურგი.** უმაღლესი რესკრიპტი მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ფლოტის მთავარ უფროსის გენერალ-ადმირალის ალექსი ალექსანდრეს ძის მიმართ: „თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ. დღეს გათავდა სამოსწავლო — არტილერიის რაზმის მიერ სროლის ვარჯიშობა, რომელსაც დავესწარ მე და ჩემი უავგუსტოესი სტუმარი გერმანიის იმპერატორი. ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის წარმატების ნახვა რაზმისა, რომელიც გამოცდილი და ენერგიული ფლაგმანის ხელ-მძღვანელობით იწვრთნებოდა. ვიცი, რომ იმისათვის მთელი რაზმის მძიმე და დაუღალავი შრომა იყო საჭირო. მოხარული ვარ, რომ მე თვითონ ვნახე იმათი ერთგული და მუყაითი შრომა ფლოტის არსებითი საჭიროების —სროლის— საქმეში. სიამოვნებით გიცხადებთ, თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ, როგორც ჩვენის საზღვაო ძალთა უფროსს, ხელმძღვანელს და ჩემ წინაშე პასუხის მგებელს იმათ მომზადებაში,—ჩემს გულითადს მადლობას იმ ღრმა ზნეობრივ სიამოვნებისათვის, რომელიც მე ვიგრძენ ამ სამი დღის განმავლობაში ჩემს მეზღვაურთა შორის, რეველის ნავთსადგურში. დავშთები სამარადისოდ თქვენი კეთილის მსურველი“. ნამდვილზედ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით დაწერილია: „თქვენი გულწრფელად მოყვარული ძმისწული ნიკოლოოზი“.

ადესაში 9-დან 20 ივლისამდე ალარავინ გამხდარა შავი ჭირით ავად. ხუთი კაცი, რომელიც 9 ივლისამდე გახდა ავად, მორჩა. 20-სა და 21 ივლისს ქალაქის საავადმყოფოში კიდევ მოიყვანეს 2 ავადმყოფი, ადგილობრივი მცხოვრები, რომელნიც მაშინვე ცალკე მოათავსეს; ჩერნომორსკის მაზრის სოფელ აკსაიში, ასტრახანის გუბერნიისა, 15 ივლისიდან ალარავინ გამხდარა ავად. 28 ავადმყოფისაგან 16 მოკვდა, სრულიად მორჩა ერთი და დარჩა ავადმყოფი თერთმეტი, რომელთაგან 9 მალე მორჩება.

**ადესა.** 27 ივლისს დაიხურა ოდონტოლოგიური კრება, რომელმაც განიხილა ოცდა-ათამდე სპეციალური მოხსენება, დაადგინა ურთი-ერთ დამხმარებელი, პენსიის და სამარხი კასსის დაარსება და გადასწყვიტა შემდეგი მეოთხე კრება მოხდეს 1905 წ. პეტერბურგში.

ინგლისის კოლონიამ დაიწყო მეფის ედუარდის დაგვირგვინების დღესასწაული.

**ნოვოროსიისკი.** გაიხსნა საფრანგეთის მხატვრობის სურათების გამოფენა.

**სესტრორეცკი.** სადგ. „კურორტზე“ გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

**ლონდონი.** დილის 10 საათზე ვესმინსტერის ტაძარი გასაკვირველათ იყო მოწყობილი. 11 საათზე ტახტთან ადგილები დაიჭირეს წარჩინებულთ; ჰერცოგს დევონშირისას ეჭირა გვირგვინი, მარკიზს ლონდონდერის—მახვილი; დედოფალი დაბრძანდა თავის ტახტზე და მიესალმნენ “vivat regina Alexandra“-ს ძახილით. მუსიკის დაკვრამ მეფის მობრძანება აუწყა; ყველა დამსწრენი მიეგებნენ vivät rex Eduardus“ ძახილით. მეფეს წამოსხმული ჰქონდა სამეფო დასახური; მივიდა ტახტის წინ მომზადებულ ალაგს, თავი დაუკრა დედოფალს და დაიჩოქა სალოცავად; ილოცა და ეზიარა. მღვდელ-მსახურების დროს მეფე პასუხს აძლევდა მკაფიოთ და ხმა მაღლა და ხელი მოაწერა ფიცის ქაღალდს.

**ლონდონი.** წმინდა საიდუმლოს მიღების დროს ძეფემ მუხლი მოიდრიკა; მირონ-ცხებულმა და სახელმწიფო მახვილით აღჭურვილმა მიიღო სამეფო უფლებათა ნიშანნი. მეფემ მშვენივრად აიტანა გვირგვინის კურთხევის წესი, დაღალულობა სრულიად არ ეტყობოდა და თავს მშვენივრად ჰგრძნობდა.

**ლონდონი.** მეფე და დედოფალი 2 საათზე განშორდნენ ტაძარს; აუარებელი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მათ.

**ლონდონი.** დილიდანვე განუსაზღვრელი მხიარულება გამეფდა. ყოველის მხრიდან ისმოდა ზარების რეკა. ქუჩებზე ბევრად მეტმა ბრბომ შეიყარა თავი, ვიდრე მოსალოდნელი იყო. აღტაცება იმდენად ძლიერია, რომ ორ ადგილას ბრბომ გაარღვია მხედართ რაზმი, რათა უფრო კარგად დაენახა მეფე. სასახლის წინ გაჩერებულმა საზოგადოებამ იმათ უდიდებულესობის დაბრუნების შემდეგ ისეთი მანიფესტაცია მოახდინა, რომ მეფე და დედოფალი აივანზე გამოვიდნენ, სადაც აღტაცებით ულოცავდა ხალხი.

### პეტერბურგის ბირჟა 26 ივლისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 94,15 |
| ბერლინზე 100 მარკაში | — |
| პარიზზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონზე ჩეკები | 94,80 |
| ბერლინზე „ | 46,27$^1/_2$ |
| პარიზზე „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 4$^1/_2$—6$^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96$^7/_8$ მყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | 99 „ |
| 4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. | — |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 463 გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 353 „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 287$^3/_4$ „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 88$^7/_8$ „ |
| 4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | — |
| 4$^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — |
| ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | — |

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს**—1) № 1 სწრაფი დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 სათვისტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

**ბაქოს**—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პირასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 სათვისტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

**ბორჯომს**—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

**ყარსს**—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბათუმიდან**—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 სათვისტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—სად. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

**ბაქოდან**—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 სათვისტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

**ბორჯომიდან**—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

**ყარსიდან**—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

#### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ტფილისისაკენ**—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 სათვისტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

#### გ) ქუთაისიდან გამოდის:

**ტფილისისაკენ**—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

**ბათუმისაკენ**—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

**შორაპნისაკენ**—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

## განცხადებანი

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

დიდი მოწონება მიიღო

ტფ. სამრ. 1901 წლის გამოფენა

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია აღებული.

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა

ბათუმში.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში გ. მულიარსკი

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში ვ. ჭილაძე

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (50—2)

ლითონის გამძლეობა და იაფი სახურავი

არ საჭიროებს ღებვას, მუშაობა ადვილია და ადვილად დასამაგრებელი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 28 Іюля, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).

ეროვნული ბიბლიოთეკა